

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა ურყევი ნებაა უზრუნველყონ სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, განურჩევლად სტუდენტების სქესისა, კანის ფერისა, აღმსარებლობისა, პოლიტიკური შეხედულებისა, მოქალაქეობისა და ეთნიკური კუთვნილებისა, აკადემიური მოსწრებისა და სოციალური მდგომარეობისა, ხელი შეუწყონ მათ მაღალხარისხიანი განათლების მიღებასა და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებაში, ეყრდნობიან რა უნივერსიტეტის მრავალწლიან ტრადიციებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ დებულებას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
2. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნების წესით არჩეულ სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს.
3. სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს მის უფლებამოსილებას, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს რაიმე სახით ჩაერიოს ან ზემოქმედება მოახდინოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაზე.
4. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და აქვს საკუთარი ბეჭედი, შტამპი და სხვა ატრიბუტიკა. ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ საჯაროა.
5. სტუდენტური თვითმმართველობისთვის გამოგზავნილი დახურული განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია, მათი გახსნა და ცენზურა აკრძალულია, ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ადრესატს.
6. სტუდენტური თვითმმართველობის მისამართია: საქართველო, 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის.

მუხლი 2. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

- ა) სტუდენტი - პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორატურის პროგრამის გასავლელად.
- ბ) უნივერსიტეტი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- გ) სტუდენტური თვითმმართველობა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო.
- დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს.
- ე) თვითმმართველობის გამგეობა - სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტებისა და სამსახურის უფროსებისაგან შემდგარი ორგანო.
- ვ) სტუდენტური პარლამენტი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოების წევრი სტუდენტების შემდგარი ორგანო.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

1. დაიცვას სტუდენტების უფლებები და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის ყოველმხრივი დაცვა არასაუნივერსიტეტო ურთიერთობებშიც.
2. ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში.
3. დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში, პროფესიული უნარჩვევების გამომუშავებაში და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში.
4. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;
5. ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამოქალაქო განათლების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას. ასევე გასწიოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა სტუდენტებში.
6. ოპტიმალური პირობების შექმნა სტუდენტთა დასვენების, ყოფის, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.
7. დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში და ქალაქში მიმდინარე მოვლენებში.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

სტუდენტური თვითმმართველობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს:

- ა) შეიმუშავოს წინადადებები ფაკულტეტის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს.
- ბ) პერიოდულად, სხვადასხვა მეთოდით მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება.
- გ) უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;
- დ) მოაწიოს შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი და სამეცნიერო ღონისძიებები.
- ე) ითანამშრომლოს საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს და უცხოეთის სასწავლებლების სტუდენტურ თვითმმართველობებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ სტუდენტურ ორგანიზაციებთან და გაერთიანებებთან.
- ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით არაკრძალული და უმაღლესი განათლების შესახებ კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელი სხვა მოქმედებები.

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები

სტუდენტური თვითმმართველობის გამართულ და მიზანმიმართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს თვითმმართველობის მართვის ორგანოები, რომლებიც ანხორციელებენ უფლებამოსილებას ამ დებულების შესაბამისად. თვითმმართველობის მართვის ორგანოებია: სტუდენტური პარლამენტი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და თვითმმართველობის გამგეობა.

მუხლი 6. სტუდენტური პარლამენტი

1. სტუდენტური პარლამენტი არის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო და სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი ერთეული, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოების წევრი ყველა სტუდენტისგან;
2. უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებში სტუდენტები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნების საფუძველზე ოთხი წლის ვადით.
3. სტუდენტური პარლამენტი:
 - ა) განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის წლის ძირითად პრიორიტეტებს.

- ბ) სახელობითი კენჭისყრით, მცირე უმრავლესობით ირჩევს თვითმმართველობის პრეზიდენტს.
- გ) საქართველოს კანონმდებლობის ან ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 3/4-ით ახდენს თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტს.
- დ) შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი წლის ვადით ამტკიცებს თვითმმართველობის გამგეობას.
- ე) სიითი შემადგენლობის 3/4-ით შეაქვს ცვლილებების თვითმმართველობის დებულებაში და თვითმმართველობის საარჩევნო დებულებაში.
- ვ) ისმენს დეპარტამენტების დირექტორების წლიურ ანგარიშებს და წარადგენს წინადადებებს კონკრეტული დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე;
- ზ) ამტკიცებს და უფლებამოსილებას უწყვიტავს სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს.
- თ) საჭიროების შემთხვევაში ქმნის დროებით კომისიებს, რომლებიც თავის უფლებამოსილებას წყვეტენ საკითხის ამოწურვის შემდეგ;
4. სტუდენტური პარლამენტის წევრი ვალდებულია:
- ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
- ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
- გ) დაიცვას სტუდენტური ეთიკის კოდექსი.
- დ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
- ე) დაესწროს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის სხდომებში.
- ვ) რეგულარულად გაეცნოს თვითმმართველობის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულ განცხადებებს.
5. სტუდენტური პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ავტომატურად, ვადამდე წყდება:
- ა) პირადი განცხადების საფუძველზე,
- ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში,
- გ) ქმედითუნაროდ გამოცხადების ან უგზოუკლოდ დაკარგვის შემთხვევაში,
- დ) კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში,
- ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან ოთხი თვის განმავლობაში მისი აღუდგენლობის შემთხვევაში,
- ვ) უნივერსიტეტის ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულების უხეშად დაარღვევის შემთხვევაში,
- ზ) პარლამენტი სხდომის ზედიზედ სამჯერ გაცდენის შემთხვევაში.
6. პარლამენტის წევრების სიითი შემადგენლობის მესამედის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, უფელბაშეწყვეტილი წევრების ადგილზე ახალი წევრების ასარჩევად თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება აქვს დანიშნოს შუალედური არჩევნები. ახლად არჩეული პარლამენტის წევრები უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული წევრების უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.
7. სტუდენტური პარლამენტის სხდომებს ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მოადგილე. სხდომის მოწვევა შეუძლია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, მოადგილეებს, ომბუცმენსა და პარლამენტის წევრთა 1/6-ს.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

1. თვითმმართველობის პრეზიდენტი:
- ა) წარმოადგენს თვითმმართველობას თვითმმართველობას აწსუ-ს ხელმძღვანელ ორგანოებთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს,
- ბ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას,
- გ) იწვევს პარლამენტის სხდომებს,
- დ) ნიშნავს შუალედურ არჩევნებს სტუდენტური პარლამენტის სტატუსშეწყვეტილ წევრთა დარჩენილი ვადით ახალი წევრების ასარჩევად;
- ე) აცხადებს თვითმმართველობის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსს,
- ვ) წარადგენს გამგეობის წევრებს სტუდენტური პარლამენტში დასამტკიცებლად,
- ვ) უშუალოდ ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის შემუშავების პროცესს,
- ზ) ნიშნავს და ათავისუფლებს ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეებს.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევის წესი:
- ა) თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ ორი წლის ვადით, სახელობითი კენჭისყრით. არჩევნები ტარდება, ყოველ მეორე წელიწადს, აპრილის თვის პირველი ოთხშაბათს.

- ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის მინიმუმ 1/6-ს.
- გ) იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა საკმარისი ხმათა რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ინიშნება პარლამენტის ხელახალი არჩევნები.
3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი პასუხისმგებელია:
- თვითმმართველობის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მიზნობრიობაზე.
 - თვითმმართველობის ქონების მდგომარეობაზე.
 - თვითმმართველობის საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორეზე.
 - თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ სხვა საქმიანობებზე.
4. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე წყდება:
- პირადი განცხადების საფუძველზე,
 - ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში,
 - ქმედითუნაროდ გამოცხადების ან უგზოუკლოდ დაკარგვის შემთხვევაში,
 - საქართველოს კანონმდებლობის ან ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/3-უფლება აქვს დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურა. აღნიშნულის შემდეგ იქმნება საინპიჩმენტო დროებითი კომისია, რომელიც აწარმოებს მოკვლევას მაქსიმუმ ორი თვის მანძილზე და სტუდენტურ პარლამენტს წარუდგენს შესაბამის დასკვნას, რომელსაც ასევე ეყრება კენჭი და ჩაითვლება დამტკიცებულად თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის 3/4.
 - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან ოთხი თვის განმავლობაში მისი აღუდგენლობის შემთხვევაში.
4. სტუდენტური თვითმმართველობას პრეზიდენტის წინააღმდეგ არ შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 43 მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნა.

მუხლი 8. თვითმმართველობის გამგეობა

- თვითმმართველობის გამგეობა შესდგება სტუდენტური, დეპარტამენტების დირექტორებისა და თვითმმართველობის სამსახურების უფროსებისაგან.
- თვითმმართველობის მიზნების შესასრულებლად სტუდენტური თვითმმართველობაში იქმნება ოთხი დეპარტამენტი.
 - მეცნიერების დეპარტამენტი;
 - კულტურის დეპარტამენტი;
 - სპორტის დეპარტამენტი;
 - სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი;
- დეპარტამენტი შესდგება დეპარტამენტის საფაკულტეტო განყოფილების ხელმძღვანელებისაგან, დეპარტამენტის დირექტორისა და დეპარტამენტის აპარატის წევრებისგან.
- თვითმმართველობის მიზნების შესასრულებლად სტუდენტური თვითმმართველობაში იქმნება ძირითადი და სამსახურები. ძირითადი სამსახურებია:
 - პრესასთან და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური;
 - ტურიზმის სამსახური (საექსკურსიო ბიურო);
 - იურიდიული სამსახური;
 - საგარეო ურთიერთობებისა და ინფორმაციის გავრცელების სამსახური;
 - სტრატეგიული განვითარების სამსახური;
 - ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
 - სპეციალურ საკითხთა სამსახური;
- კონკრეტული მიზნების შესაბამისად, ვიწროდ სპეციალიზირებული სამსახურების შექმნის, რეორგანიზაციის, დაქვემდებარებისა, გაუქმების, სამსახურის უფროსის დანიშვნისა და გათავისუფლების სტუდენტურ პარლამენტში წარდგინების საკითხს წყვეტს თვითმმართველობის პრეზიდენტი.
- გამგეობის წევრებს ერთი წლის ვადით, ინდივიდუალურად ამტკიცებს სტუდენტური პარლამენტი.
- თვითმმართველობის გამგეობის წევრი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
- ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
- გ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსი.
- დ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
- ე) დაესწროს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს გამგეობის სხდომებში.
- ვ) რეგულარულად გაეცნოს თვითმმართველობის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულ განცხადებებს.

მუხლი 9. სტუდენტობის ომბუცმენი და ომბუცმენის აპარატი

1. სტუდენტობის ომბუცმენის აპარატი წარმოადგენს უნივერსიტეტში სტუდენტების უფლებების დამცველ უმაღლეს ორგანოს.
2. ომბუცმენი, რომელიც კონკურსის საფუძველზე ორი წლის ვადით შეირჩევა სტუდენტური პარლამენტის მიერ.
3. ომბუცმენის წინააღმდეგ არ შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 43 მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნა.
4. ომბუცმენი ამ დებულების ფარგლებში:
 - ა) ამოწმებს უნივერსიტეტში და მის გარეთ სტუდენტთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა.
 - ბ) განიხილავს სტუდენტთა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, დაწესებულებათა, თანამდებობის შესახებ და იურიდიულ პირთა ქმედებებს ან მათ აქტებს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ და უნივერსიტეტის წევრებით დადგენილ სტუდენტთა უფლებათა და თავისუფლებათა, დარღვევის შესახებ.
 - გ) თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველთან და სასჯელაღსრულების დაწესებულების მონიტორინგის საბჭოებთან და მათთან ერთად ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში სტუდენტების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას.
5. შემოწმების ჩატარებისას ომბუცმენს უფლება აქვს:
 - ა) დაუბრკოლებლად შევიდეს უნივერსიტეტის ნებისმიერ ორგანოსა და დაწესებულებაში, მოსთხოვოს და მიიღოს მათგან შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა, ასევე მიიღოს ახსნა - განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან;
 - ბ) გაეცნოს სტუდენტების დისციპლინალური დევნისა და სხვა ადმინისტრაციულ საქმეებს. ომბუცმენი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია.
 - გ) დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მის ხელთ არსებული მასალები გადასცეს შესაბამის ორგანოებს საქმის აღძვრის რეკომენდაციით;
 - დ) შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში იმ პირთა დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;
 - ე) სტუდენტობის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის მიზნით ნორმატიული ბაზის სრულყოფის შესახებ წინადადებები წარუდგინოს სტუდენტურ პარლამენტსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
 - ვ) აცნობოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სტუდენტების უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების შედეგები;
 - ზ) შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები გამოაქვეყნოს სპეციალურ მოხსენებებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში;
 - თ) განსაკუთრებულ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მიმართოს საქართველოს პარლამენტს და საქართველოს სახალხო დამცველს;

მუხლი 10. თვითმმართველობის წევრობა და უფლებები და მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობაში სტუდენტების გაწევრიანება ნებაყოფლობითი და თავისუფალია. გაწევრიანება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე.
2. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:
 - ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

- ბ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზირებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი;
 - გ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;
 - დ) მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისაგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
 - ე) წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;
3. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია
- ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
 - ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
 - გ) დაიცვას სტუდენტური ეთიკის კოდექსი.

მუხლი 11. თვითმმართველობის შემოსავლები და გასავლები

1. თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:
 - ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული ფიქსირებული შემოსავალი,
 - ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები და საჩუქრები,
 - გ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება,
 - დ) დონორებისაგან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი,
 - ე) ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან შემოსული თანხები.
2. თვითმმართველობას უფლება არ ააქვს აიღოს რაიმე სახის კრედიტი ან მსგავსი დანიშნულების თანხა.
3. თვითმმართველობა ვალდებულია გამოაქვეყნოს ბიუჯეტი და მასში დააზუსტოს შემოსავლების, გასავლების და გადახდილი თანხიცი მოცულობა;
4. თვითმმართველობის ბიუჯეტის საფუძველზე თვითმმართველობის შეუძლია გამოაცხადოს საგრანტო კონკურსების გამოცხადებას და განაცხადების მიღებას. გრანტების მიღება შეუძლია:
 - ა) სტუდენტსა და სტუდენტების მიერ შექმნილ საინიციატივი ჯგუფს;
 - ბ) სტუდენტურ კლუბებს;
 - გ) ფაკულტეტის თვითმმართველობებს;
 - დ) უნივერსიტეტის თანამშრომლებს;
 - ე) თვითმმართველობასთან აკრედიტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს;